



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 015/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე ჩიკვილაძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა სისხლის სამართლის წესით განსახილველ საქმეზე სამოქალაქო სამართლებრივი დავა აწარმოა. სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ ადვოკატმა საჩივრის ავტორს გადასცა სააღსრულებო ფურცელი და თავად არ უზრუნველყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი არ ესწრებოდა სასამართლო სხდომებს და არ იღებდა მონაწილეობას საქმის განხილვაში. ადვოკატის განცხადებით, ის კეთილსინდისიერად დაეხმარა საჩივრის ავტორს საჭირო საბუთების მოძიებაში, ადვოკატი აღნიშნავს, რომ ვინაიდან საქმეს ორი ადვოკატი აწარმოებდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაში მას მონაწილეობა არ მიუღია და პროცესს ესწრებოდა მხოლოდ მეორე ადვოკატი. ადვოკატის განცხადებით, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ კლიენტს გადასცა სააღსრულებო ფურცელი, რადგან მას არ ჰქონდა სააღსრულებო ბიუროში წარმომადგენლობის ვალდებულება.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. მან უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი, თუმცა კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ემზადება პროცესისთვის ან საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა აქაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ. ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას, რომ ადვოკატმა სამოქალაქო წესით არასწორად აწარმოა საქმე, რომელიც სისხლის სამართლის წესით უნდა ეწარმოებინა. კლიენტს სარჩელის შეტანიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არ გამოუთქვამს პრეტენზია საქმის სამოქალაქო წესით წარმართვასთან დაკავშირებით და არ შეუწყვეტია ადვოკატთან ურთიერთობა, შესაბამისად, ის ეთანხმებოდა არჩეულ სტრატეგიას. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის ქმედებები სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას.

¹ <https://gba.ge/pdf/5c514ab28b0b4.pdf/5c514ab28b0b4.pdf>

დასკვნა

კომისიამ არ დაადგინა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ კანონის 5(ა) მუხლის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის შესაძლო დარღვევა და ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა.